ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი **20.03.2024 წელი**

12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე კარლო წილოსანი და კახა ასკურავა.

არ ესწრებოდა: მაკა მშვიდობაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **პაატა ურუშაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **თამაზ იმედაიშვილი,** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავა,** ლანჩხუთის საჭადრაკო კლუბის პრეზიდენტი - თენგო ხუხუნაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) **ნინო ძიძიგური,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; მაია აფხაზავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; პაატა ურუშაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; თამაზ იმედაიშვილი/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ნინო ძიძიგური/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ.“

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ია მოქია/

6. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის

სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ**, მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N10 დადგენილება. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის" მე-6 მუხლში, რომელიც შეეხება გამარჯვებული გუნდის ან/ და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოებას.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ იმედაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა 37254,9 ათ.ლარი შეადგინა გეგმის 107,5 %-ი, აქედან გადასახადების სახით მიღებულია 13394,6 ათ.ლარი გეგმის 102,6%-ი, სხვა შემოსავლები მიღებულია 4498,5 ათ.ლარი რაც გეგმის 139,2 %-ს შეადგენს, გრანტის სახით მიღებული 19361,8 ათ.ლარი, აქედან გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18269,4 ათ.ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია გრანტი 137,78 ათ.ლარი. საფინანსო წელში გაწეულია 20746,1 ათ.ლარის ხარჯი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 7018,9 ათ.ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯმა 8543,9 ათ.ლარი შეადგინა, სესხის მომსახურების პროცენტი 21,2 ათ.ლარია, სოციალურ უზრუნველყოფის დაფინანსებაზე მიიმართა 881,7 ათ.ლარი, სხვა ხარჯების ღონისძიებებზე 3582,5 ათ.ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 14851,7 ათ.ლარს შეადგენს, კლება 98,7 ათ.ლარს, მთლიანი დადებითი სალდომ 1755,9 ათ.ლარი შეადგინა. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2023 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 203,0 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 1 იანვრისათვის 145,0 ათასი ლარი იქნება .2023 წელს დაფარული იქნა 58,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -1697,8 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 5241,5 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 2252,4 ათასი ლარი იყო თავისუფალი ნაშთი და 2989,1 ათასი ლარი განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთმა. 2023 წელს დაიგეგმა თავისუფალი ნაშთის 2252,4 ათასი ლარის და განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთის 2683,8 ათასი ლარის გადასახდელებზე მიმართვა. 2024 წლის 1 /1 სათვის ნაშთი განისაზღვრა 6939,1 ათასი ლარით, მათ შორის თავისუფალმა ნაშთმა შეადგინა 4494,1 ათასი ლარი. სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 79,2 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 58,0 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 21,2 ათასი ლარი.

პრეტენზია გამოითქვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მიერ, კახა ასკურავა მოითხოვდა კერძო აუდიტის მოწვევას, ვინაიდან სახელმწიფო აუდიტი მუშაობს ამჟამად 2023-2024 წლების ბიუჯეტზე და მას არ მიაჩნია სწორად.

საკითხის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი 1 (კახა ასკურავა).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა აპარატის უფროსმა ნინო ძიძიგურმა, მან განმარტა, რომ საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საკრებულოს აპარატი,რომლის ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და საკრებულოს აპარატის დებულების შესაბამისად.

საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფის მიზნით საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგისა და სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების და სხვა საჭირო ინფორმაციის მომზადებას, გამრავლებას, გამოქვეყნებას და საკრებულოს წევრებისათვის მათ მიწოდებას.

ასევე ადგენს მოწვეულ პირთა სიას, საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას და მათ გაფრთხილებას საკრებულოს თავმჯდომარის დავალების შესაბამისად.

დახმარებას უწევს საკრებულოს თავმჯდომარეს სხდომის წაყვანის პროცესში, სხდომაზე წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

აპარატი ასევე უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიის, ფრაქციის თავმჯდომარეების საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, საინფორმაციო და მატერიალურ - ტექნიკურ მომსახურებას.

საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის 107,108 და 110 მუხლით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის ოქმის შედგენას, საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების გაფორმებას, გამოქვეყნებასა და დაგზავნას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საკრებულოს აპარატი შედგება საკრებულოს აპარატის უფროსის, აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებისგან, რომელსაც ხელმძრვანელობს საკრებულოს აპარატის უფროსი, ვისაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს აპარატის უფროსის, აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების უფლება - მოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობით, აპარატის დებულებითა და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო აპარატის დებულებასა და საშტატო ნუსხას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

ეხლა რაც შეეხება სტრუქტურას:

საკრებულოს აპარატში სულ დასაქმებულია 21 თანამშრომელი, მათ შორის 16 არის შტატით განსაზღვრული, ხოლო 5 შრომითი ხელშეკრულებით. მათი სტრუქტურა ფორმულირდება შემდეგნაირად;

პირველი რაგნის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი(აპარატის უფროსი)- 1

მეორე რაგნის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) - 1

მის გაყოფილებაშია მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-2, მესამე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)-1 და მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში)-1.

მეორე რაგნის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) - 1

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 9 და შრომითი ხელშეკრულებით -5.

2023 წელს საკრებულოს გადაწყვეტილებითა და თავმჯდომარის მიერ გამოცემულია სამართლებრივი აქტები, კერძოდ:

განკარგულება - 90

დადგენილება - 30

ბრძანება - 220

შრომითი ხელშეკრულება - 5

შეთანხმების აქტი - 7

ავტომანქანებზე გაფორმებული ხელშეკრულება - 11

ავტომანქანებზე გაფორმებული შეტანხმების აქტი - 2

ასევე საკრებულოს აპარატის ორგანიზებით ჩატარებულია სხდომები. კერძოდ:

საკრებულოს სხდომა -17

ბიუროს სხდომა - 13

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა -14

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა - 10

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა - 13

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა - 7

სოციალურ საკითხთა, განათლების ,კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა - 9

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს " სხდომა - 12

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის" სხდომა-9

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალურის მოძრაობის" სხდომა - 11

აპარატის უფროსმა აღნიშნა, რომ გამართული მუშაობისთვის ესაჭიროებათ ტექნიკა, არ არის საკმარისი კომპიუტერები და პრონტერები, ასევე ფოტოაპარატი.

კომისიის წევრებმა ერთხმად მადლობა გადაუხადეს საკრებულოს აპარატს გუნდური და გამართული მუშაობისთვის.

კომისიის წევრების მიერ მოწონებული იქნა წარმოდგენილი ანგარიში და შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ“ ისაუბრა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ია მოქიამ და აღნიშნა, რომ შემოსულია განცხადება, ადგილზეც იყვნენ გასული კომისიის წევრები და გადაწყდა, რომ ქუჩას მიენიჭება წმინდა ბარბარეს სახელი.

კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა: თენგო ხუხუნაიშვილმა ისაუბრა საერთაშორისო ტურნირის შესახებ, რომელიც გაიმართება ლანჩხუთში. გასულ წელს 27 მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა, წელს კი 31 მუნიციპალიტეტი მიიღებს მონაწილეობას, ასევე რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი. რეგისტრაცია მსურველთათვის მთავრდება 5 აპრილს. კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს მას ტურნირის ორგანიზებისთვის და წარმატება უსურვეს.

დეპუტატმა ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ გასულ წელს შემოვიდა აკეთში ქუჩის მინიჭების საკითხი და იქნებ გაგრძელდეს აღნიშნული საკითხი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ კახა ასკურავამ გამოთქვა პრეტენზია, რომ მერია მათ არ აწვდით პერსონალური მონაცემების შემცველ მასალებს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის
დასკვნა №2

20.03.2024 წელი
12.00 საათი

მიმდინარე წლის 20 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; მაია აფხაზავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; პაატა ურუშაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; თამაზ იმედაიშვილი/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ნინო ძიძიგური/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ.“

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ია მოქია/

6. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ გამოითქვა შენიშვნა.

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 1 (კახა ასკურავა).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭებაზე შენიშვნა არ გამოთქმულა.
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.03.2024 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11 50	
2	ია მოქია	11:50	
3	კახაბერ ასკურავა	12:00	
4	მაკა მშვიდობაძე	არ ესწრება	
5	კარლო წილოსანი	12 59	
6	ნინო მშვიდობაძე	12:00	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11 50	